პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 165 (5974)

1977 წ. 23 აგვისტო, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ოლიმპიური დევიზი ძალაშია

სოფია, 20 აგვისტო. უნივერსიადა მრავალფეროვანია. „წმინდა“ სპორტის (რასაც ჩვენ სტადიონებზე ვხედავთ) გარდა არსებობს, აგრეთვე, სტუდენტთა ყოველმხრივი შეხვედრები, მაგალითად, ტარდება საერთაშორისო კონფერენცია „სტუდენტთა სპორტის განვითარება“, გახსნილია გამოფენა „ოლიმპიური მოსკოვი“.

უნივერსიადის მიმზიდველობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ფართო მასშტაბისაა და გულითად, მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობს, ხოლო ოლიმპიური დევიზი — „მთავარია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა“ — ძალაში რჩება უნივერსიადაშიც.

უნივერსიადის მეორე დღეს საბჭოთა სტუდენტებმა სამი ოქროს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონობამდე ყველაზე გრძელი გზა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) განვლო ჩელიაბინსკელმა სტუდენტმა ლ. მოსეევმა. 10000 მეტრზე რბენაში მისმა გამარჯვებამ ყველას შეახსენა საბჭოთა სტაიერების სახელოვანი ტრადიციები.

მოსეევის შედეგი — 29.12,0, მაინცდამაინც მაღალი არ არის, მაგრამ ეს იყო დაძაბული ტაქტიკური ბრძოლის იშვიათი ნიმუში. მოსეევი უფრო გაწაფული აღმოჩნდა, ვიდრე II ადგილზე გასული იტალიელი ფ. ფავა (29.12,7) და მესამე პრიზიორი რუმინელი ი. ფლორიუ (29.13,4).

მოსეევმა და ს. ჯუმანაზაროვმა (IV ადგილი), რომლებიც მარათონულ დისტანციას იყვნენ მიჩვეულნი, 25 წრე ისე ირბინეს, თითქოს რაღაც უხილავი ძაფით იყვნენ შებოჭილნი, მხოლოდ ზედ ფინიშთან გაწყდა „ძაფი“ და მოსეევი ერთბაშად გაიჭრა წინ.

— გვერდით ბილიკზე სატიმკულა რომ არ ყოფილიყო ძალიან გამიჭირდებოდა, — უთხრა ჩემპიონმა საკდესის კორესპონდენტს, — ასე რომ სამართლიანი იქნებოდა მედალი ორივეს „გაგვეყო“.

თუ რა მნიშვნელოვანია გვერდით მეგობარი რომ გიდგას, ამაში დარწმუნდა კიდევ ერთი ჩემპიონი — ვილჩო სტოევი (ბულგარეთი), რომელმაც ბირთვის კვრაში გაიმარჯვა (19 მ 55 სმ). იგი მეორე ბულგარელმა ათლეტმა ნ. ხრისტოვმა წააქეზა თავისი შედეგით (19,44 — „ვერცხლი“).

რუმინეთის ნაკრების შემადგენლობაში იყო 3 ტანმოვარჯიშე, რომლებმაც მონრეალის ოლიმპიადაში გუნდურ ჩათვლაში ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ჩვენი ნაკრების წევრებიდან არც ერთს არ უასპარეზია ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე და ოლიმპიადებში.

— უნივერსიადის დაწყების წინ ტრავმის გამო გამოგვაკლდნენ ისეთი ძლიერი ტანმვარჯიშეები, როგორიცაა ნ. კიმი (ჩიმკენტი) და ლ. გორბიკი (მინსკი), — აღნიშნა საბჭოთა სტუდენტური ნაკრების კაპიტანმა, მოსკოველმა და ბოგდანოვამ. — და, რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან ვღელავდით: „შევძლებდით გამარჯვებას წამყვანი ტანმოვარჯიშეების გარეშე?“ დიახ, ჩვენ მოვიგეთ ეს ძნელი ბრძოლა (114,20 ქულა). II ადგილზე გავიდა რუმინეთის გუნდი — 113,65, III ადგილი ბულგარელ ტანმოვარჯიშეებს ხვდათ — 113,00.

მოფარიკავე რაპირისტების შეჯიბრება ორ დღეს გაგრძელდა. როცა ფინალურ ტურნირში ტაშკენტელმა ს. რუზიევმა დამაჯერებლად მოუგო წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონს ა. რომანკოვს, ოქროს მედალი განაღდებული ეგონა. I ადგილის ძირითად პრეტენდენტად ხომ რომანკოვი ითვლებოდა და წლის საუკეთესო რაპირისტთან გამარჯვება რუზიევს გზას უხსნიდა სტუდენტთა თამაშების უმაღლეს ჯილდომდე, მაგრამ საბჭოთა დუეტს სერიოზული კონკურენცია გაუწია ჯერ კიდევ გამოუცდელმა კ. ხერტეგმა (გდრ).

რუზიევი და ხერტეგი კვლავ გამოვიდნენ საფარიკაო ბილიკზე. მხოლოდ ისინი იყვნენ I ადგილის პრეტენდენტები, რადგან რომანკოვმა უკვე მიიღო „ბრინჯაო“.

„ორთაბრძოლა არ იყო დაძაბული, როგორც ეს ფინალური შეხვედრებისთვისაა დამახასიათებელი, — თქვა რომანკოვმა, — თუმცა ეს გასაკვირი არ არის. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ რუზიევი გაიმარჯვებდა, ფიზიკურად და ტექნიკურად იგი დღეს ყველაზე უკეთ არის მომზადებული. რაც შეეხება ჩემს III ადგილს, კმაყოფილი ვარ, ვინაიდან მედალი მოვიპოვე ჩემთვის ძნელი საფარიკაო სეზონის ბოლოს“.

უნივერსიადაში, როგორც სხვა დიდ შეჯიბრებებში, ბევრი მოულოდნელობა ხდება. მაგალითად, იაპონიისა და აშშ-ის ფრენბურთელ ქალთა შეხვედრაში გაიმარჯვეს ამერიკელმა სპორტსმენებმა — 3:1 (11:15, 15:12, 15:2, 15:11). თუ წინასწარი თამაშების უმრავლესობა აქ 40-45 წუთში მთავრდება, ეს შეხვედრა საათ-ნახევარს გაგრძელდა. სპეციალისტების აზრით, ეს გამარჯვება მოულოდნელი იყო მხოლოდ იმათთვის, ვისაც არ უნახავს ამერიკელთა გამოსვლა ახლახან ბულგარეთში ჩატარებულ ტურნირში „ვარნის ზაფხული“.

ჩვენმა ფრენბურთელმა ქალებმა და ვაჟებმა თავიანთ ქვეჯგუფებში დაამარცხეს შესაბამისად ბრაზილიის — 3:0 (15:9, 15:7, 15:4) და თურქეთის — 3:0 (15:9, 15:6, 15:2) გუნდები.

სოფია, 21 აგვისტო. უნივერსიადაში, როგორც ყველა სხვა შეჯიბრებებში, თავის აზრებს წინასწარ გამოთქვამენ სპეციალისტები სპორტის სახეობების მიხედვით, ჟურნალისტები, მაყურებლები და... თვით მონაწილეები (ძალიან იშვიათად) და როგორც სხვა შეჯიბრებებში, აქაც, ვარაუდი ხან მართლდება, ხან არა.

...მაყურებელი დაბნეულია. უნივერსიადის აფიშები ეპატიჟებიან ტანმოვარჯიშეთა აბსოლუტურ პირველობაზე, მძლეოსნური პროგრამის ფინალზე, ფრენბურთისა და კალათბურთის წინასწარ თამაშებზე.

ყველგან თავს იყრის ფართო აუდიტორია, მაგრამ სულ სხვაა „სპორტის დედოფლის“ ასპარეზობანი. თამაშების მონაწილეთა თითქმის მეოთხედი—615 კაცი მძლეოსნობაში გამოდის. ბევრია ცნობილი გვარები: კაზანკინა და სედიხი (ორივე — სსრ კავშირი), ვშოლა (პოლონეთი), ხუანტორენა და ლეონარდი (ორივე — კუბა), სტეკიჩი (იუგოსლავია), გლანსი (ამერიკა)...

გლანსმა, უნივერსიადის წინ, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: „სოფიის სარბენ ბილიკზე მთელ ჩემს შესაძლებლობას ვაჩვენებ დავეცდები გავიმარჯვო, იმიტომ, რომ უნივერსიადა ჩემი სპორტული ცხოვრების უდიდეს სტარტად მიმაჩნია“.

მაგრამ გლანსმა 100-მეტრიანი დისტანციის ფინალურ გარბენში მხოლოდ VI ადგილი დაიკავა (10,37). I ადგილი მოიპოვა კუბელმა ტექნოლოგმა ს. ლეონარდმა, რომლის შედეგმა (10,08) უნივერსიადის რეკორდს გადააჭარბა. საბჭოთა მძლეოსანი ნ. კოლესნიკოვი IV ადგილზე გავიდა — 10,36.

ლეონარდმა აღნიშნა, რომ უნივერსიადის სტარტი მას დაეხმარება მძლეოსნობაში მსოფლიო თასის გათამაშებაში, რომელიც სექტემბერში დიუსელდორფში (გფრ) გაიმართება.

დიუსელდორფის სტარტებისთვის ემზადება, აგრეთვე, 100-მეტრიან დისტანციაზე გამარჯვებული მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ლიუდმილა სტოროჟკოვა (11,21 — ახალი საკავშირო რეკორდი). მან წამის ერთი მეასედით აჯობა ინგლისელ ანდრეა ლინჩინას, ხოლო ორი მეასედით — კუბელ სპორტსმენს სილვია ჩივასს.

ოქროს მედალი მოიხვეჭა მოსკოველმა მშვილდოსანმა ნადეჟდა იაკუბოვიჩმა — 61 მ 42 სმ.

მძლეოსნურ ხუთჭიდში მოულოდნელად, ბრწყინვალე შედეგით გაიმარჯვა ბულგარელმა ვ. დმიტროვამ — 4630 ქულა. მისი შედეგი სტუდენტთა თამაშების რეკორდზე მეტია.

შეჯიბრების მასპინძლებისთვის ეს წარმატება ერთადერთი არ ყოფილა.

პ. პეტროვმა, რომელმაც ცეცხლი დაანთო უნივერსიადის გახსნის დღეს, 100-მეტრიან დისტანციაზე დაამყარა თავისი ქვეყნის რეკორდი — 10,19 და ლეონარდის შემდეგ II ადგილი დაიკავა.

საერთაშორისო სარბიელზე გამოუცდელობას პლოვდიველ სტუდენტ ნადია შატაროვასთვის ხელი არ შეუშლია III ადგილი დაეკავებინა ტანმოვარჯიშეთა აბსოლუტურ პირველობაში (76,25). მის წინ არიან ა. გორიაკი (რუმინეთი) — 76,65 და ა. გლებოვა (ლენინსკ-კუზნეცკი) — 76,40.

პროგნოზი არ გამართლდა რაპირისტ ქალთა ასპარეზობაშიც. ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა კატარინა რაცოვამ პირველად მოუგო წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონს ვ. სიდოროვას, შემდეგ კი მონრეალის ოლიმპიადაში გამარჯვებულ ი. შვარცენბერგერს (უნგრეთი) და ოქროს მედალი დაისაკუთრა. სიდოროვამ IV ადგილი დაიკავა.

ამ დღეს მხოლოდ ერთი ვარაუდი გამართლდა: 1974 წლის ჩემპიონმა ძელზე ასპარეზობაში სტუდენტმა ვ. გინგერმა (გფრ) საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ტანვარჯიშულ მრავალჭიდში გამარჯვება უწინასწარმეტყველა იაპონიის ნაკრების ლიდერს ხიროსი კაძიამას. და ასეც მოხდა. კაძიამამ 115,06 ქულა დააგროვა; ვ. მარკელოვი II ადგილზე გავიდა — 114,50, III ადგილი ვ. ტიხონოვს (114,45) ხვდა. (საკდესი).

●

კუბელი მორბენალი ა. ხუანტორენა მონრეალის ოლიმპიადის ნამდვილი აღმოჩენა იყო — 400 და 800 მეტრზე რბენაში ყველა მეტოქე დაჩრდილა. სოფიის უნივერსიადაზე მან, ისე როგორც მონრეალში, ორი გამარჯვება იზეიმა, 800 მეტრზე რბენაში კი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 1.43,4.

სურათზე: ა. ხუანტორენა.

ისევ ბოგდანოვა!

იონჩოპინგში (შვეცია) კონტინენტის პირველობაზე საბჭოთა მოცურავეებმა კიდევ რვა მედალი მოიპოვეს, სამი ოქროსი, სამი ვერცხლისა და ორიც ბრინჯაოსი.

განსაკუთრებით თავი ისახელა 13 წლის ლენინგრადელმა ი. ბოგდანოვამ. ვიტყობინებოდით, რომ ადრე მან 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში იმარჯვა, ამჯერად კი ოქროს მედალი მოიგო 100 მეტრზე ამავე სტილით ასპარეზობაში — 1.11,89.

ოქროს მედალი წილად ხვდა მის თანაქალაქელს, 17 წლის ვ. სალნიკოვს. მან 1500 მეტრზე შეჯიბრებაში ევროპის რეკორდიც დაამყარა — 15.16,45 (აქ მეორე იყო მოსკოველი ვ. პარინოვი).

ვაჟთა შორის 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ფინალში გავიდა ორი საბჭოთა სპორტსმენი ა. სმირნოვი და ა. სიდორენკო. ეს უკანასკნელი ჩემპიონატის დებიუტანტია. ამის მიუხედავად მან ბრინჯაოს მედალი მოიგო — 2.08,8. სმირნოვმა II ადგილი დაიკავა — 2.07,26. ყველას აჯობა უნგრელმა ა. ხარგიტაიმ — 2.06,82.

ქალთა შორის ეს სახეობა მოიგო უ. ტაუბერმა (გდრ). მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2.15,95. მოსკოველმა ო. კლევაკინამ სსრ კავშირის რეკორდით ბრინჯაო მოიპოვა — 2.19,35.

ერთი დღით ადრე კონტინენტის რეკორდით ევროპის ჩემპიონი გახდა ლენინგრადელი ს. რუსინი, რომელმაც ვაჟთა შორის 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 3.54,83 აჩვენა და უახლოესი მეტოქე თითქმის ერთი წამით ჩამოიტოვა. ვაჟთა შორის 200 მეტრზე ბრასით ცურვაში ა. მისკაროვმა საბჭოთა კავშირის რეკორდი გააუმჯობესა — 2.18,24, მაგრამ მხოლოდ II ადგილს დასჯერდა. მას ჰ. მერკენმა (გფრ) აჯობა — 2.16, 78. 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვა მოიგო 20 წლის რ. პიტულმა (გდრ) 55,49, ხოლო 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში უძლიერესი იყო მსოფლიოს 1975 წლის ჩემპიონი ზ. ვერასტო (უნგრეთი) — 2.03,8.

ქალებში ვ. კრაუზემ (გდრ) თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში ყველა მეტოქე, მათ შორის ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ე. ბრიგიტაც (ჰოლანდია) დაამარცხა და ოქროს მედალი მოიგო — 56,55. ქალების 4×100 მეტრზე ესტაფეტა გდრ-ის სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა — 4.06,39.

წყალბურთელთა შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ორი მატჩი გამართეს. მათ მოუგეს გფრ-ის გუნდს — 6:5 და იტალიელებთან დამარცხდნენ — 5:7.

გამოვლინდა ჩემპიონი ქალთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში. ასპარეზობა გდრ-ისა და საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობით ჩატარდა. ოქრო და ვერცხლი გერმანელებს, 26 წლის ქ. ქელერსა (444,3 ქულა) და მ. როტეს (418,35), ერგოთ. 18 წლის ი. კალინინამ, 17 წლის ო. დმიტრიევას 16,5 ქულით გაუსწრო. კალინინას შედეგია 411,15.

• • •

სურათზე: ი. ბოგდანოვა.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

მძლეოსნობა

235

არ დაემორჩილა

დონეცკში გამართულ ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე მძლეოსნობაში, საინტერესო გამოდგა შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში. ა. შნაიდერმა (გფრ) ბრძოლა 220 სმ-ის დაძლევის შემდეგ შეწყვიტა. სარბიელზე დარჩა მხოლოდ მსოფლიო რეკორდსმენი ვ. იაშჩენკო. მისი შედეგია 230 სმ. შემდეგ „235“ მოითხოვა. იაშჩენკომ განიზრახა თავისივე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება. მაგრამ მისი ცდა ჯერჯერობით მარცხით დამთავრდა.

ქალთა შორის პირველობა მოიგო ჰ. ნიცშემ (გდრ) — 188 სმ. სიგრძეზე ხტომაში ჩემპიონი გახდა ნ. ზუევა (სსრ კავშირი), რომელმაც უკანასკნელ ცდაზე 635 სმ აჩვენა და სანტიმეტრი მოუგო ა. ბეიერსდორფს (გფრ).

10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ხარკოველმა ნ. ვინიჩენკომ წრეზე მეტი მოუგო ყველას — 41.31,6. 110 მეტრზე თარჯრბენში ფინიშთან პირველი მივიდა ფინელი ა. ბრუგარე — 13,88. მისი თანამემამულე ა. პაუნონენი პირველი იყო 1500 მეტრზე ასპარეზობაში — 3.41,6.

ძლიერი წვიმის მიუხედავად ქ. კლაუსს (გდრ) ბადალი არ ჰყავდა ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში — 13,32. 400 მეტრზე ასპარეზობაში გ. ზუსმანმა იმარჯვა (გფრ)—52,33. ფრანგმა სპრინტერმა ჰ. ჰანცომ ყველა დაამარცხა 100 მეტრზე რბენაში — 10,4.

ჩოგბურთი

ნაკრებში ორი თბილისელია

ტაშკენტში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობა ჩოგბურთში, რომელშიც შვიდი გუნდის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ.

გუნდურ ტურნირში კარგად გამოვიდა საქართველოს ნაკრები (მწვრთნელები ა. და ი. ელერდაშვილები), რომელმაც III საპრიზო ადგილი მოიპოვა. პირველი იყო უზბეკეთის კოლექტივი, II — მოსკოვის გუნდი.

ქალთა პირად პირველობაში კარგად იასპარეზა სპორტის ოსტატმა მარინე ელერდაშვილმა, რომელმაც პირველობა არავის დაუთმო. მარინემ თანაგუნდელ ვიქტორ ბაკშისთან ერთად შერეულ წყვილთა შეჯიბრებაშიც იმარჯვა.

ვაჟთა წყვილებში II იყო ფ. ნუნიკიანისა და ბაკშის დუეტი. ასევე II ადგილი ხვდა ჩვენს ქალთა წყვილსაც (მ. ელერდაშვილი — მ. ღელაღუტაშვილი).

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, აგრეთვე, ნ. ელერდაშვილმა, ე. პოლოსოვმა და თ. ტეტელაშვილმა, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ ასეთი სახის შეჯიბრებაში.

ასპარეზობის შემდეგ დაკომპლექტდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში ჩაირიცხა ორი თბილისელი სპორტსმენი მ. ელერდაშვილი და ვ. ბაკში.

გ. ამირხანოვი.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

თამაშიც, გართობაც, დასვენებაც

„...საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ გამოაცხადა: „ყველაფერი ბავშვებს, ყველაფერი ბავშვებისათვის!“ ამ მოწოდებას პრაქტიკულად უნდა შეესხას ხორცი იმითაც, რომ ბავშვებს მიეცეთ ყველაზე ფართო შესაძლებლობა მათთვის მოსახერხებელ დროს და სრულიად უფასოდ ისარგებლონ ქალაქისა თუ სოფლის სპორტული ბაზებით, ყველა სპორტული ნაგებობით.

ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ჯანმრთელობისა და ფიზიკური წრთობის მყვიდრი საძირკველი შევუქმნათ ჩვენს ახალგაზრდობას“.

(რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალებიდან).

„სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის, ამზადებდნენ მათ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის, ზრდიდნენ სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად“.

(სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის 66-ე მუხლი).

ჩვენ, სპორტული ჟურნალისტები და სპეციალისტები, ბავშვის ფიზიკური აღზრდის კერად სკოლას, სკოლის სექციურ მუშაობას, სპორტსკოლებს ვთვლით და ეს ასეც არის. სკოლის კედლებში, სპორტულ დარბაზებსა და ბაზებზე უნდა იწრთობოდეს ახალგაზრდა, იქ უნდა გადიოდეს იგი პირველ სპორტულ ნათლობას. ფიზაღზრდის მასწავლებელმა უნდა შეაყვაროს პირველად ბავშვს ფიზკულტურა და სპორტი, ხოლო შემდეგ, თუ შეატყობს, რომ ბავშვი ნიჭიერია, „სპორტსკოლის გზა უნდა მიასწავლოს“. ახლა რედაქცია იღებს სპეციალისტებისა და სპორტული მუშაკების წერილებს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ფიზაღზრდის გაკვეთილი სკოლაში. ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების შინაარსი, რომელიც ფიზაღზრდის გაკვეთილის დონის ამაღლებას ისახავს მიზნად. ერთი სიტყვით, ამ სფეროში მუშაობა არნახული ინტენსიურობით, სიბეჯითითა და, თუ გნებავთ, შეუპოვრობით მიმდინარეობს. ეს ფაქტი კი არ შეიძლება არ გვახარებდეს. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გავიმართოთ წელში, ხომ უნდა „გავუსწოროთ“ ჩვენს შვილებს „გამრუდებული ხერხემალი?“ ფიზაღზრდის გაკვეთილი კი სწორედ ამას ისახავს მიზნად.

ახლა სხვაგვარად დავსვათ კითხვა. ვთქვათ, სკოლაში ყველაფერი წესრიგშია, ნორმალურად ტარდება ფიზაღზრდის გაკვეთილები, მცოდნე და გულისხმიერია მასწავლებელი, ბაზებიც საკმარისად არის და ინვენტარიც. და მაინც, გულს ვერ დავიარხეინებთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ მოსწავლე მთელი ზაფხული მოწყვეტილია სკოლას. მაშ სად უნდა ივარჯიშოს მან? თუ ამ ხნის განმავლობაში „დავასვენოთ“ ბავშვი? რა თქმა უნდა, არა. არდადეგებს ზოგი ზღვისპირას ატარებს, ზოგიც სოფელში. ნაწილი კი მიემგზავრება პიონერულ ბანაკებში, სადაც მოსწავლე უნდა იძენდეს ახალ მეგობრებს, ეჩვეოდეს რეჟიმსა და დამოუკიდებელ ცხოვრებას, კოლექტივიზმის პრინციპებს, ისისხლხორცებდეს პიონერული მარშის მარშრუტებს, და, რაც მთავარია, თამაშობდეს და ერთობოდეს ახლადგაცნობილ მეგობრებთან ერთად.

სამწუხაროდ, ამ საკითხზე სხვა აზრი აქვთ ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ პიონერთა ბანაკებში. აქ რომ ფიზიკური წრთობის საკითხს დიდი პატივისცემით არ ეპყრობიან, ფაქტია, მაგრამ დღეს ჩამორჩენილებზე როდი გვსურს საუბარი. ჩვენი მიზანია გაგაცნოთ ის ბანაკები, სადაც მართლაც რომ კარგადაა სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საქმე დაყენებული.

...ხაშურის რაიონის რესპუბლიკური პიონერული ბანაკები სამაგალითონი არიან. ოთხივე ბანაკში, რომელსაც ჩვენ ვესტუმრეთ, ყველა პირობაა ბავშვების დასვენების, ვარჯიშისა და გაკაჟებისთვის. ოთხივე ბანაკს აქვს სპორტული ბაზები და ინვენტარი, ჰყავს გულისხმიერი აღმზრდელები.

დავიწყოთ იმით, რომ ხაშურის რაიონის რესპუბლიკური ბანაკების მონაწილეობით ჩატარდა სპარტაკიადა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. სარბიელზე სულ 11 ბანაკი გამოვიდა. მონაწილენი სამ ზონად დაიყვნენ: ქვიშხეთის ზონა (3 ბანაკი) და სურამის ორი ზონა (4-4 ბანაკი). ქვიშხეთისა და სურამის ერთ ზონას „სპარტაკის“ რაისაბჭო ხელმძღვანელობდა, სურამის მეორე ზონას კი — „კოლმეურნისა“ და „განთიადის“ მუშაკები. საერთოდ, ამ სპარტაკიადას ხაშურის რაიონის სპორტკომიტეტი მეთაურობდა. სპარტაკიადაში 6 სახეობა შედიოდა: ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი, კალათბურთი, მშდ კომპლექსის მრავალჭიდი. თითოეული ზონიდან გამარჯვებული გუნდი ფინალში გადიოდა. ზონალურ ასპარეზობაში 2 ათასამდე ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა.

გარდა ამისა, ყველა ბანაკში ჩატარდა ეგრეთწოდებული „ვარსკვლავისებური“ ტურისტული ლაშქრობები სურამის ციხეზე, იტრიის მონასტერზე, წრომის უძველეს ტაძარში (VI-VII საუკუნე), ლესია უკრაინკას სახელობის სახლ-მუზეუმში, რომელიც სურამში მდებარეობს.

თითქმის ყველა ბანაკში მოეწყო ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები. პიონერები შეხვდნენ ომისა და სპორტის ვეტერანებს. სპორტულ თემებზე ჩატარდა 40-მდე ლექცია-საუბარი, რომლებშიც მონაწილეობდა საზოგადოება „ცოდნის“ ხაშურის რაისაბჭოსთან არსებული ფიზკულტურის ლექტორთა ჯგუფი.

რაიონში მდებარე ყველა ბანაკში გამართეს მორბენლის, მხტომელის, მოცურავისა და მტყორცნელის დღე. სამივე ნაკადში მომზადდა სპორტული თანრიგოსნები. აქ განსაკუთრებით თავი ისახელეს ქვიშხეთის „მზიანეთის“, „მეგობრობის“, „შევარდნის“, სურამის „მზიურის“, „კოსმოსის“, „მეგობრობისა“ და „შევარდნის“ პიონერთა ბანაკებმა.

...განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქვიშხეთის რესპუბლიკურ პიონერულ ბანაკ „შევარდენში“ (ბანაკის უფროსი პიონერხელმძღვანელი გ. მონიავა, ფიზაღზრდის მასწავლებელი ზ. უროტაძე, ცურვის ინსტრუქტორი ჰ. რამიშვილი) სამივე ნაკადში 452 მოსწავლემ დაისვენა. შევარდნელებს თავიანთი სპორტკლუბი აქვთ, რომელსაც „ოლიმპია“ შეარქვეს. მოსწავლეები იყვნენ ექსკურსიაზე ბორჯომში, ლაშქრობაზე — ბულბულის ციხეზე, ბავშვები არაერთხელ ყოფილან ქვიშხეთის ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას — „კოშკის უბანში“. აქ ყოველ ნაკადში ერთხელ ტარდება სამხედრო-პატრიოტული თამაში „ცისკარი“. პიონერებმა ერთი დღე ველად გაატარეს — სოფელ სათივეში გაშალეს კარვები, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხელყუმბარის ტყორცნაში, დაბრკოლებების გადალახვაში.

აქ არის კინო-ფოტომოყვარულთა კლუბი, რომელსაც თ. რუსეიშვილი ხელმძღვანელობს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთა პროფკავშირების ქვიშხეთის პიონერთა ბანაკი „მეგობრობა“ (ბანაკის უფროსი რ. აბაზაძე, უფროსი პიონერხელმძღვანელი დ. ჩხარტიშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. ჯავახიშვილი) მშვენიერ ადგილას არის განლაგებული — ტყის პირას. აქ არის კალათბურთის, ფრენბურთის, მინი-ფეხბურთის მოედნები, მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო მაგიდები, აუზი. ინვენტარიც საკმარისად აქვთ პიონერებს.

აქაურ მოსწავლეებს შედგენილი აქვთ დილის გამამხნევებელი ვარჯიშის კომპლექსი, რომელიც ორ კვირაში ერთხელ იცვლება. ბავშვები მართავენ ამხანაგურ თამაშებს ქვიშხეთის სხვა პიონერულ ბანაკებთან, დადიან ექსკურსიებზე, იყვნენ „მთაწმინდაზე“, ატარებენ „მხიარულ სტარტებს“. ბანაკში გამოდის სპორტული გაზეთი „ბანაკის სპორტული ცხოვრება“.

კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სურამის პიონერთა ბანაკ „მზიურის“ (ბანაკის უფროსი ე. ლომიძე, უფროსი პიონერხელმძღვანელი ე. გელაშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი რ. გოგოლაძე) მოსწავლეებმა პირველებმა შეისწავლეს „ვარსკვლავისებური ლაშქრობა“. იყვნენ ხაშურში, იტრიის მონასტერში, ურთხვისის ეკლესიაში, სურამის ციხეზე, წრომის ეკლესიაში. დაათვალიერეს ბორჯომის ხეობა, საბუეთის მთა. პიონერებმა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს „მიუძღვნეს“ მოცურავისა და მორბენლის დღე. ბანაკის 900 ბავშვმა მიიღო მონაწილეობა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, აქედან ნორმატივები 175-მა ჩააბარა. „მზიური“ რაიონში მდებარე პიონერთა ბანაკებს შორის I ადგილზე გავიდა მშდ კომპლექსის მრავალჭიდის პირველი საფეხურის მიხედვით. ბანაკში ჩატარდა სპორტული ფესტივალი, რომელიც მოსკოვის მომავალ ოლიმპიადას მიეძღვნა, გაიმართა ვიქტორინები, სპორტული თამაშები, მოეწყო გამოფენა „მოსკოვი-80“, რომლის დევიზი იყო — „მინდა გავხდე მოსკოვი-80-ის მონაწილე“.

ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის სურამის პიონერთა ბანაკ „კოსმოსის“ პიონერები (ბანაკის უფროსი ე. გეგიძე, უფროსი პიონერხელმძღვანელი ნ. თევდორაშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი მ. ბუაძე) თავიანთი ბანაკის სპორტულ ცხოვრებას კინოფირზე იღებენ, ექსკურსიებს ატარებენ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ესტუმრნენ თავიანთ შეფებს — ხაშურის მინისტარის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს, დაათვალიერეს ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი, ბეკმის მუხნარი.

აქ თითო ნაკადში 200 მოსწავლე ისვენებს. პიონერების განკარგულებაშია ფრენბურთისა და კალათბურთის კომბინირებული მოედანი, მცირე ჩოგბურთის ორი მაგიდა. აი, ინვენტარის საქმე კი ვერა აქვთ კარგად.

ვფიქრობთ, ესეც საკმარისია გავიგოთ, თუ რა მუშაობა ტარდება ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე მყოფ პიონერულ ბანაკებში ბავშვების გაჯანსაღებისა და აქტიური დასვენებისთვის.

...ღიმილითა და მადლიერი თვალებით შემოგვცქერიან ნორჩები. მართლაც, მადლობა ეთქმით ამ ბავშვების აღმზრდელებს, რომლებიც ერთი ფიქრით არიან შეპყრობილნი — ყოველი ღონე იხმარონ აღსაზრდელების გაჯანსაღებისა და გალაღებისთვის. მათ ხომ წინ სერიოზული სასწავლო წელი უდევთ.

წერტილი აქ შეიძლებოდა დაგვესვა, მაგრამ გვინდა ზემოთჩამოთვლილი ბანაკის ხელმძღვანელების სახელით დიდი მადლობა გადავუხადოთ ხაშურის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის თავკაცებს, ხაშურის რაიონის კომკავშირის რაიკომის მუშაკებს, რომლებიც მთელი ზაფხულის მანძილზე ძალ-ღონეს არ იშურებენ მოსწავლეების უკეთ დასვენებისა და გართობისთვის.

დ. ჭელიძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ქვიშხეთის პიონერული ბანაკის „შევარდენის“ მოსწავლეები კალათბურთის თამაშის დროს. თ. რუსეიშვილის ფოტო.

„მუხნარის“ სამი ნაკადი

სამხრეთ ოსეთის პროფსაბჭოს საოლქო პიონერული ბანაკი „მუხნარი“ მესამე ნაკადს ისტუმრებს. მოზარდი თაობის წრთობისა და გაკაჟების ამ კერაში ბავშვთა დასვენებასა და ფიზიკური გაჯანსაღების საქმეს მუდამ დიდი ყურადღება ეთმობა. ბანაკის უფროსი შ. გიაშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებლები ო. თედეევი და ვ. მებურიშვილი ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ მოსწავლეები შინ კმაყოფილი დაბრუნდნენ.

აქ სათანადოდ ზრუნავენ მოზარდთა დასვენებისა და კულტურული გართობისთვის. ტრადიციად დამკვიდრდა ნაკადების საბანაკო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია ფეხბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა და ცურვა. ცურვაში შეჯიბრებების გამართვის საშუალებას იძლევა კარგი საბანაკო აუზი.

ყველა ნაკადში მოეწყო მშდ ნორმატივების ჩაბარება და ამხანაგური შეხვედრები ჯავის პიონერთა ბანაკებთან, გაიმართა ტურისტული ლაშქრობები, ექსკურსიები.

მესამე ნაკადის სპარტაკიადაში, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება, 100-მდე ნორჩი მონაწილეობს.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ტურბინები... სპორტულ მოედანზე

თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის ბოლოდროინდელი სპორტული ცხოვრების გაცნობა დიდ დროს არ მოითხოვს, ორიოდე საქალაქო, ორიოდე რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობა, ორიოდე საპრიზო ადგილი. ეს არის და ეს.

ერთი სიტყვით, ამ კოლექტივსაც აქვს თავისი სპორტული სიცოცხლე, რომლის თავიდათავი ფიზკულტურის მეთოდისტი, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებია.

ვეცნობით ქარხნის ფიზკულტურელთა საქმიანობას. საწარმოს მცირე ტერიტორიის შემხედვარეს უნებურად გვებადება კითხვა: სად, რომელ ბაზებზე მოამზადა ქარხანამ სპორტსმენები, რომლებმაც საპრიზო ადგილების მოპოვება შეძლეს?

— ჩვენ, — ამბობს ფიზკულტურის ინსტრუქტორი გ. დვალიშვილი, — მე-4 საშუალო სკოლის სპორტულ ბაზებზე ვვარჯიშობთ, სამაგიეროდ ტექნიკური სამუშაოების შესრულებაში ვშველით ამ სასწავლებელს.

რა ქნას 600-მდე თანამშრომელმა სამუშაო დღის განმავლობაში? ჩარხიდან, დაზგიდან, კონვეიერიდან გამოყოლილი დაღლილობა სად ჩამოიბერტყოს, სად გამართოს წელი. ქარხანაში ხომ საწარმოო ტანვარჯიშსაც აღარ ატარებენ.

მკითხველმა ისე არ გაგვიგოს მანქანათმშენებლებს ქარხნის ტერიტორიაზე სპორტული ბაზების შექმნას ვთხოვდეთ. ჩვენ მხოლოდ არსებულ ერთი ხელისგულისოდენა ფრენბურთის მოედანზე გვსურს ლაპარაკი.

ნათქვამია, ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს დაიჭერსო. მაგრამ მანქანათმშენებელი ქარხნის ხელმძღვანელობას ამ პატარა მოედანზე კალათბურთის ფარები რომ დაედგა ორ კარგ საქმეს მართლაც რომ გააკეთებდა. ორს ვინ ჩივის, როდესაც...

სანახევროდ ჩამოხსნილი ბადე და ორ ბოძს შუა დაწყობილი რამდენიმე ათეული ტურბინა, აი, ქარხნის ფრენბურთის მოედანი. „მცირე ხნით გამოვიყენეთო“ გვაიმედებენ მასპინძლები. და იცით რას ნიშნავს მათი მცირე დრო? — თვის დასაწყისში მოედანზე ტურბინები დააწყვეს, ამას დაუმატეთ მათი შეღებვა და გაშრობა, თვის ბოლოს მზა პროდუქციის მოთხოვნილების მიხედვით გაზიდვა და... მოედანს მოცლა აღარ აქვს.

პასუხს ალბათ ქარხნის დირექტორი თ. ცინცაძე გაგვცემს, რადგან ფრენბურთის მოედანზე ტურბინები მისი უშუალო მითითებით მოუთავსებიათ.

ქარხნის მუშებმა რამდენჯერმე გადაწყვიტეს გულისტკივილი ჩვენი გაზეთისთვის გაეზიარებინათ. სამწუხაროდ, მათ ხმას ჩვენამდე ვერ მოუღწევია. მოედანი კი ისევ ძველებურად დარჩა — ორი ბოძით, სანტიმეტრამდე ჩამოკონწიალებული ბადითა და ტურბინებით სავსე.

ა. გაბელაია.

ფიზკულტურა — სიმხნევის რეცეპტი

ხმელნიცკის ფეხსაცმლის ფაბრიკაში დღეში ორჯერ ჩუმდება კონვეიერები. მუშაობის დაწყებიდან ორი საათის შემდეგ და დამთავრებამდე ორი საათით ადრე უდიდესი კორპუსის ყველა სართულზე გაისმის მუსიკა. იწყება „სიმხნევის წუთები“ — ფიზიკური ვარჯიში.

იგი საწარმოს შრომითს რიტმში კარგა ხანია დამკვიდრდა. 52 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი ვარჯიშის სპეციალურ კომპლექსებს ადგენს ამ საწარმოს მშრომელებისთვის. ფაბრიკაში ძალიან ეფექტურია ფიზკულტურული პაუზები. შემთხვევითი არ არის, რომ უკრაინის სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ ჩატარებულ რესპუბლიკურ დათვალიერებაში ფაბრიკის კოლექტივი I ადგილზე გავიდა.

— ვერც ერთი განყოფილება ვერ გავა I ადგილზე თუ იქ სათანადო სიმაღლეზე არ დგას სპორტული მუშაობა, — თქვა საწარმოს დირექტორმა ე. ბუნინმა, — მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, სპორტული ოსტატობის ამაღლება, ფიზკულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა პირადი სოციალისტური ვალდებულებების აუცილებელი პუნქტია.

ხმელნიცკელ მეფეხსაცმელეებს არაერთი წარმატებისთვის მიუღწევიათ. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირთა საოლქო სპარტაკიადაში, რომლის პროგრამაში სპორტის 8 სახეობა შედიოდა, მათ რვავე პრიზი მოიპოვეს.

ფიზკულტურელებს აქვთ სპორტული კომპლექსი — სათამაშო მოედნები, ტანვარჯიშული ქალაქი. დაგეგმილია დიდი სპორტული დარბაზის მშენებლობა.

ს. შუმახერი.
ხაკდესის კორ.

ხმელნიცკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '77

ჩემპიონატის ქრონიკა

სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 21 აგვისტოს გაიმართა კიდევ 5 მატჩი:

„დინამო“ (კიევი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 8:0. გამარჯვებულთაგან 2-2 ბურთი გაიტანეს ბლოხინმა და ონიშჩენკომ.

„ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 4:3. „ქაირათის“ ფეხბურთელმა იონკინმა ამ მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა.

„ნეფთჩი“ (ბაქო) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:0. სტუმრებმა ვერ შეძლეს პენალტის გატანა.

„არარატი“ (ერევანი) — ცსკა 2:3.

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 0:1.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	18	8	9	1	33—8	25
„დინამო“ თბ.	18	7	9	2	27—17	23
„შახტიორი“	18	8	6	4	19—11	22
„დინამო“ მ.	18	5	11	2	20—13	21
„ტორპედო“	16	6	8	2	16—11	20
„ლოკომოტ.“	15	5	9	1	14—9	19
„არარატი“	18	6	7	5	19—17	19
„ქაირათი“	18	4	11	3	18—19	19
„ზენიტი“	18	4	9	5	15—17	17
„ნეფთჩი“	18	4	9	5	16—22	17
„დნეპრი“	18	6	4	8	15—21	16
„ჩერნომორ.“	18	6	4	8	19—29	16
ცსკა	17	2	11	4	16—24	15
„ზარია“	17	4	4	9	14—14	12
„კარპატი“	17	2	8	7	12—18	12
„კრ. სოვეტ.“	18	1	5	12	10—33	7

პილგუის ბრწყინვალე თამაში რომ არა...

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 21 აგვისტო.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1 (0:1).

„დინამო“ (თბილისი): გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია (კოპალეიშვილი), მ. მაჩაიძე, ჭორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ჩელებაძე).

„დინამო“ (მოსკოვი): პილგუი, პაროვი, ნოვიკოვი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, პეტრუშინი, გერშკოვიჩი, დოლმატოვი, იაკუბიკი, კაზაჩონოკი, მინაევი.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 1:2.

კვირას ფეხბურთის გულშემატკივარმა ისევ გულდამძიმებულმა დასტოვა სტადიონი. ისევ მძიმე, მომქანცველი საათნახევრიანი ბრძოლა და ისევ მხოლოდ და მხოლოდ ქულა.

თბილისის „დინამომ“ ბოლო ორ მატჩში ორი გამარჯვებისთვის სამყოფი ენერგია დახარჯა — დაუნანებლად, პატიოსნად და თუმცა გულს გვაკლია, მწარის სათქმელად მაინც არ გვიბრუნდება ენა. იქნებ ოსტატობა არ ჰყოფნის გუნდს? (ეს კითხვა ბუნებრივია თუნდაც იმიტომ, რომ შინ ნათამაშებ სამ მატჩში სამქულიან პასივს ძნელად წარმოიდგენდა გუნდის ყველაზე ეჭვიანი შემფასებელიც კი). თქმა არ უნდა, „დინამო“ იდეალურ ფეხბურთს ვერ თამაშობს (ისევე როგორც უმაღლესი ლიგის სხვა ნებისმიერი კოლექტივი), ყველა რგოლი, კარის დარაჯიდან დაწყებული თავდასხმით გათავებული — ხან იძულებით, ხან ტაქტიკური მოსაზრებით — ერთობ ხშირად იცვლის სახეს. ჯერჯერობით ვერ „იპოვეს თავი“ ვერც გუცაევმა და ვერც შენგელიამ. მაგრამ ასეთივე და იქნებ უფრო რთული პრობლემების წინაშე დგანან სხვა გუნდებიც.

ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ საკმაოდ იოლად (უნდა ითქვას, მრავლადაც) გვახსენდება სულ უმნიშვნელო შეცდომებიც კი. არადა, გამარჯვებულ გუნდსაც კი ბევრზე ბევრ ლაფსუს გამოუნახავს გულგრილი კაცი. ოღონდ იყოს ამის სურვილი. მაგალითისთვის შორს ნუ წავალთ — მოსკოვის ტორპედოელებთან შეხვედრაში ჩვენი ფეხბურთელები გაცილებით მეტს სცოდავდნენ. მაშინ საკმაოდ მრავლისმეტყველმა ანგარიშმა (2:0) თვალგაუმტარი საბურველი გადააფარა ყველა ხარვეზს. პირდაპირ ვიტყვი, თბილისის „დინამო“ ამ ორი მატჩიდან უკანასკნელში გაცილებით ძლიერად გამოიყურებოდა.

მატჩში მონაწილე მოსკოველ მცველთა ოთხეულიდან სამი (პაროვი, მახოვიკოვი, ბუბნოვი) წინა ხაზზე თამაშის დიდი მოყვარულია. თბილისელებთან შეხვედრაში მახოვიკოვსა და ბუბნოვს საამისოდ არ ეცალათ (მახოვიკოვს გუცაევის მიზეზით ისედაც თავზე საყრელად ჰქონდა საქმე). დარასელიას პასიურობის მიუხედავად (ცსკა-სთან მატჩის შემდეგ გადაღლილი ჩანდა) ვერც პაროვმა მოიცალა — მოსკოველთა დაცვის მარჯვენა ფლანგზე დროდადრო ყიფიანი გამოჩნდებოდა ხოლმე. დოლმატოვს, ისევე როგორც თანაკლუბელთა წინა მატჩში, ყიფიანის მეურვეობა დაეკისრა და ისიც ლანდივით დასდევდა თბილისელთა ათიანს. დავითის მიერ გატანილი გოლიც (61) რომ არა, დოლმატოვი ამ მატჩშიც წაგებული დარჩა. მეორე ცენტრალური წყვილი მაჩაიძე — იაკუბიკი იყო (მოსკოვში მაქსიმენკოვი იყო მანუჩარის მეტოქე). ალბათ ამ ორთაბრძოლასაც პირწმინდად მოიგებდა თბილისელი ნახევარმცველი, მეორე თავდამსხმელად გაპიროვნებული გერშკოვიჩი თამაშის დაწყებიდან სულ რაღაც ათიოდე წუთის შემდეგ თანაგუნდელს რომ არ შეშველებოდა. ეულად დარჩენილ კაზაჩონოკს ასე თუ ისე რეალურ დახმარებას მინაევი და პეტრუშინიღა (მეორე ტაიმში გერშკოვიჩიც) უწევდნენ. რა დასამალია, ორივე ნახევარმცველს ხელფეხი ჭორიძისა და დარასელიას შედარებით სუსტმა თამაშმა გაუხსნა. არაფერია საკვირველი იმაში, რომ თბილისელთა კარში გატანილი გოლის ავტორი სწორედ პეტრუშინია (33). რა თქმა უნდა, მატჩის მსვლელობას დაღი დაასვა ჩვენი ოთხივე მცველის ამპლუის დროებითმა (იძულებითმა: ხინჩაგაშვილი დაშავდა წინა მატჩში) შეცვლამ.

მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ერთგვარი საფეხბურთო თეორიაა. ფაქტიურად კი, „უკეთ თამაშობსო“ იმ გუნდზე ამბობენ, ვისაც მეტი აქვს ეგრეთ წოდებული საგოლე მომენტები.

39-ე წუთი. შენგელიას თავური დარტყმის შემდეგ ბრწყინვალედ თამაშობს პილგუი.

52-ე წუთი. ჩელებაძე ძალზე ძლიერად ურტყამს — ისევ პილგუი!

56-ე წუთი. ყიფიანი ატყუებს ორ მცველს, ჩაწოდება, გუცაევის თავური დარტყმა — მოსკოველთა გოლკიპერი ისევ ბრწყინვალედ თამაშობს.

63-ე წუთი. ყიფიანის საჯარიმო დარტყმა და ისევ პილგუი!

ამგვარი ოსტატობის ჩვენება გაბელიას მხოლოდ ერთხელ მოუხდა.

ასე რომ, სასაყვედურო მაინცდამაინც ბევრი არა გვაქვს. მინდორზე თბილისელებმა ნამდვილად დასჯაბნეს მეტოქე. ვერც იმაში დაადანაშაულებ ჩვენებს, რომ სრულად არ გაიღეს ენერგიის ნარჩენებიც კი. გუნდმა ნამდვილად ისწავლა ბრძოლა და ტაქტიკურადაც ურიგოდ არ გამოიყურება. დარწმუნებული ვართ, ჩემპიონატში შესაფერისი ადგილისთვის საბრძოლველად საჭირო ოსტატობაც მას საკმარისი აქვს.

ი. ბერიაშვილი.

• • •

სურათებზე: დ. ყიფიანს გააქვს გოლი პილგუის კარში; მ. მაჩაიძე ბურთისთვის ბრძოლაში.

მ. ზარგარიანისა და ა. კოტორაშვილის ფოტოები.

სსრ კავშირის პირველობა

მეორე ლიგაში

20 აგვისტოს გაიმართა მეორე ლიგის IV ზონის გუნდების კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„დილა“ (გორი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 4:0

„დილის“ ფეხბურთელებს მათმა მწვრთნელმა გაბუნიამ ორი ამოცანა დაუსახა: რევანში აეღოთ პირველ წრეში დამარცხებისთვის და სატურნირო ცხრილში უხეირო მდგომარეობის გამოსწორება. ამ მატჩში გორელებმა ორივე ამოცანა კარგად შეასრულეს.

გორელებმა თავიდანვე თავგამეტებით დაიწყეს შეტევა და უკვე მე-10 წუთზე ბუზალაძის დარტყმული ბურთი მცირე მანძილით აცდა კარს. 4 წუთის შემდეგ ხანიშვილი მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და უძლიერესი დარტყმით აიღო მელქუმოვის კარი — 1:0. გატანილ გოლს კვლავ გორელთა იერიშები მოჰყვა, მაგრამ უზუსტო დარტყმების გამო კიროვაბადელთა კარი გადარჩა გოლს. სტუმართა ეპიზოდურ კონტრშეტევებს გორელები კარგად იგერიებდნენ. ტაიმის მიწურულს ქერდიკაშვილმა ორი მეტრიდან ააცილა კარს.

შესვენების შემდეგ მამესწარაშვილმა გაიტანა მეორე ბურთი. მან 57-ე წუთზე ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმაც ვერ მოასწრო, რომ იგი მოცელეს. 11-მეტრიანი საჯარიმო მოხვდა ძელს და ხანიშვილმა ბურთი კარში გაგზავნა — 3:0. 64-ე წუთზე ქერდიკაშვილმა მეოთხედ აიღო კიროვაბადელთა კარი. 84-ე წუთზე სტუმრებმა ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი. გორელებმა რევანში აიღეს დამარცხებისთვის.

ი. თევდორაშვილი.

„დინამო“ (ზუგდიდი) — „სპარტაკი“ (თბილისი) 3:1

ამ ბოლო დროს დინამოელები შინ ჩატარებულ მატჩებში მაღალ დონეზე თამაშობენ. სპორტული თვალსაზრისით ძალზე საინტერესო იყო მატჩი სპარტაკელებთან. იგი აგრესიული და ჩქარი ტემპით დაიწყო. უკვე მე-10 წუთზე ნაჭყებიას თავური დარტყმა ოდნავ აცდა კარს. 25-ე წუთზე ანდრიაძემ ცენტრში მიიღო ბურთი, გვერდი აუარა თბილისელთა მცველებს და მეკარის პირისპირ გასულმა ბურთი ბადეში მოათავსა, რასაც სტუმრებმა ძლიერი იერიშით უპასუხეს, მაგრამ უზუსტო დარტყმები მიზანს ვერ აღწევდა. მე-40 წუთზე ბენდელიანმა უძლიერესი დარტყმით გაიტანა მეორე ბურთი.

შესვენების შემდეგ ბრძოლა არ დამცხრალა. 49-ე წუთზე ანდრიაძეს მესამე ბურთი გააქვს. მე-60 წუთზე ნიკოლაიშვილის ძლიერი დარტყმა ოსტატურად მოიგერია ზუგდიდელთა მეკარე კვარაცხელიამ. ხუთი წუთის შემდეგ ჩიმაკაძის გადაცემა კარგად გამოიყენა გარღვევაზე გასულმა ნუცუბიძემ და მშრალი ანგარიშით წაგებისგან იხსნა გუნდი.

ბ. ალშიბაია.

„დინამო“ (ბათუმი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 0:1

გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან მასპინძლებმა თავიდანვე შეტევებით დაიწყეს თამაში. უკვე მე-12 წუთზე ესებუა პირისპირ გავიდა მეკარე დემირჭიანთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა ძნელი ბურთი მოიგერია. კარის აღების შესაძლებლობა ჰქონდათ გორგილაძეს, ბეჟანიძეს, შელიას.

შესვენების შემდეგ სტუმრები უფრო სახიფათოდ უტევდნენ და 75-ე წუთზე მათი ცდა წარმატებით დასრულდა: მასპინძელ მცველთა შეცდომა კარგად გამოიყენა პეტროსიანმა და ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში — 1:0. ამ მარცხს დინამოელთა რიგებში არევდარევა არ შეუტანია, პირიქით, მათი შეტევები უფრო მიზანსწრაფული გახდა. შელიასა და გორგილაძის მიერ შექმნილ საგოლე მომენტებს ბრწყინვალედ უვნებელყოფს მეკარე დემირჭიანი. მატჩის ბოლო წუთზე კი ლენინაკანელებს ცარიელი კარიდან გამოაქვთ ბურთი. ბათუმელები გათამაშების ლიდერთან მეორედ დამარცხდნენ.

ო. მურვანიძე.

ფეხბურთი

ჩემპიონატები, გუნდები, ლიდერები

პოლონეთი

ამ ქვეყნის 1977-78 წლების ჩემპიონატში გათამაშდა 5 ტური.

ბრწყინვალე შედეგით — 5 თამაშიდან 10 ქულით ლიდერობს კრაკოვის „ვისლა“, რომელმაც უკანასკნელ ტურში გასვლითი მატჩი მოუგო (2:1) ბიდგოშჩის „ზავიშას“. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ნახევარმცველებმა ივანმა და კაპკამ.

ლიდერს 3-3 ქულით ჩამორჩებიან ლკს და მილეცის „სტალი“.

გდრ

პირველ ტურში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონმა — დრეზდენის „დინამომ“, რომელიც საკუთარ მინდორზე ხვდებოდა აუეს „ვისმუტს“ — 4:1. პირველ ტაიმში დრეზდენელები არ მოსცილებიან მეტოქის საჯარიმო მოედანს და 4 ბურთი გაიტანეს (აქედან ორი — გუნდის ვეტერანმა კრაიშემ). პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთზე „ვისმუტის“ ნახევარმცველმა შალერმა ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა. მეორე ტაიმში ანგარიში არ შეცვლილა.

ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყეს, აგრეთვე, „ფკ კარლმარქს-შტადტმა“ (3:1 — ოდერის ფრანკფურტის „ფორვერტსთან“), ლაიფციგის „ლოკომოტივმა“ (მოიგო 3:2 გასვლით მატჩში ბელენის „ჰემისთან“) და ბერლინის „უნიონმა“ (გასვლით მატჩში ანგარიშით 2:1 დაამარცხა „ფკ მაგდებურგი“).

გფრ

2 ტურის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერობენ მიუნხენის „ბაიერნი“, გელზენკირხენის „შალკე 04“ და რესპუბლიკის ჩემპიონი, მიონხენგლადბახის „ბორუსია“.

საყურადღებოა, რომ იმ 7 ბურთში, რომელიც ორ ტურში „ბაიერნმა“ გაიტანა, ექვსი განთქმულ ხნაიპერ გ. მიულერის პირად ანგარიშზე მოდის. მის მხარდამხარ „ბაიერნში“ ახლა თამაშობს ცნობილი იუგოსლაველი ნახევარმცველი ობლაკი.

ჰოლანდია

პირველ ტურში ჩინებულად ითამაშა ამსტერდამის „აიაქსმა“, რომელმაც გასვლითი მატჩი მოუგო „რს ჰაარლემს“ — 2:0. გაიმარჯვა, აგრეთვე, „რსვ ეინდჰოვენმა“ „ვიტესესთან“ — 4:0. ფავორიტებიდან პირველ ტურში მარცხი განიცადა მხოლოდ როტერდამის „ფეიენოორდმა“, რომელიც ჰააგაში ეთამაშებოდა ადგილობრივ „ფკ დენჰააგს“ — 1:2.

შოტლანდია

პირველი ტური მარცხიანად წარიმართა ორივე ძირითადი ფავორიტისთვის. „გლაზგო რეინჯერსმა“, რომელიც აბერდინში თამაშობდა ამავე სახელწოდების გუნდთან, წააგო — 1:3, გლაზგოს „სელტიკმა“ საკუთარ მინდორზე ვერ სძლია „დანდი იუნაიტედს“ — 0:0.

შვეცია

17 ტურის შემდეგ 24 ქულით ლიდერობს „მალმიო ფკ“. 21 ქულა აქვს „იფკ ნორჩეპინგს“, 19 ქულა — „იოსტერ იფ“-ს.

„გეტებორგის“ შემადგენლობაში თამაში დაიწყო განთქმულმა თავდამსხმელმა ედსტრიომმა, რომელიც ჰოლანდიიდან დაბრუნდა. ახლა იგი გამოდის ნაკრების კაპიტან ნორდკვისტის (101 მატჩი ნაკრებში) მხარდამხარ, რომელთან ერთად იგი ადრე ჰოლანდიის „ეინდჰოვენში“ თამაშობდა.

საფრანგეთი

3 ტური გათამაშდა ამ ქვეყნის ჩემპიონატში, სადაც 20 გუნდი გამოდის.

6-6 ქულით წინ არიან „ას მონაკო“ და ლიონის „ოლიმპიკი“. „მონაკომ“ ბორდოში დიდი ანგარიშით 4:0 სძლია ადგილობრივ „ჟირონდას, ხოლო „ოლიმპიკმა“ შინ მოუგო „ლანს“ — 2:0.

„ბასტიას“ შემადგენლობაში ჩაირიცხა ცნობილი ჰოლანდიელი თავდამსხმელი რეპი, რომელიც მანამდე ესპანეთის „ვალენსიაში“ თამაშობდა.

ბულგარეთი

ორი ტურის შემდეგ 4-4 ქულით ლიდერობენ ჩემპიონი „ლევსკი-სპარტაკი“ და სოფიის „აკადემიკი“.

მეორე ტურში ჩემპიონი სტუმრად თამაშობდა „სლივენთან“. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს — ბოიაჯიევმა 20 მეტრის მანძილიდან ზუსტად გამოიყენა საჯარიმო დარტყმა. შემდეგში სრული უპირატესობა „ლევსკი-სპარტაკის“ მხარეზე იყო. ბორისოვმა, პანოვმა და ტიშანსკიმ 3 ბურთი გაიტანეს. სტუმრებმა მოიგეს — 3:1. სოფიის „აკადემიკმა“ ანგარიშით 2:0 მოუგო „ბეროეს“.

სპორტული კონტაქტები

პრაღა. „მე თქვენი ქვეყნიდან გავემგზავრები ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ დაიწყო ჩეხოსლოვაკიელ და აფრიკელ სპორტსმენებს შორის თანამშრომლობის ახალი ეტაპი, — თქვა პრაღის პრეს-კონფერენციაზე აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჟან-კლოდ-განგამ. — ჩემი ჩამოსვლის მიზანია გავეცნო თუ რა კეთდება ჩეხოსლოვაკიაში სპორტის განვითარებისთვის და რით შეუძლია თქვენს ქვეყანას დაეხმაროს აფრიკულ სპორტს.

„გვინდა ჩეხოსლოვაკიელმა სპეციალისტებმა მოამზადონ ჩვენი მწვრთნელები. და ვფიქრობ, ამ დარგში ორივე მხარის სპორტულ ორგანიზაციებს შორის დაიდება სპეციალური ხელშეკრულება“, — ხაზგასმით აღნიშნა განგამ, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ფიზკულტურისა და სპორტის ჩეხოსლოვაკიის კავშირის თავმჯდომარე ა. ჰიმლთან (საკდესი).

„ჰარლემის“ დაცემა

პროფესიული კალათბურთი ამერიკის შეერთებულ შტატებში დღეს არნახულ კრიზისს განიცდის. კრიზისის მთავარი მიზეზია ექსტრა-კლასის კალათბურთელების, ე. წ. ვარსკვლავების სიმცირე. ამ გარემოებამ საგრძნობლად შეზღუდა მაყურებლების რაოდენობა პროფესიონალთა მატჩებზე, შემცირდა შემოსავალი, გაღარიბდა კლუბების სალარო. კალათბურთელებმა დაკარგეს სტიმული და ბუნებრივია, საგრძნობლად იკლო ახალგაზრდების ლტოლვამ პროფესიული კალათბურთისკენ.

როგორც ხედავთ, ჯადოსნური წრე შეიკრა. გამოსავალი თითქმის არცა სჩანს და სტუდენტთა სპორტმა, რომელიც ძირითად ბაზას წარმოადგენდა პროფესიული კალათბურთისთვის, ზურგი შეაქცია მას.

კალათბურთის ინდუსტრიის მეცენატები გამოსავლის ძებნაში ცდილობენ თავი მოუყარონ კაპიტალს და ფეხზე წამოაყენონ პროფესიული კალათბურთის უნუგეშოდ დაკარგული ავტორიტეტი. ახლა სულ უფრო ხშირად გაისმის ხმა „ჰარლემის“, როგორც პროფესიული კალათბურთის კლასიკური ნიმუშის, ტრადიციების აღორძინების აუცილებლობაზე.

40-იანი წლების დასაწყისში „ჰარლემ გლობტროტერსს“ — პროფესიული კალათბურთის ამ უნიკალურ მოვლენას მართლაც შეეძლო სასწაულის მოხდენა, იმიტომ, რომ „ჰარლემის“ მძლე გუნდი არც შეერთებულ შტატებში და არც მის საზღვრებს გარეთ არ არსებობდა. ერთხელ ამ პოპულარული კლუბის პრეზიდენტმა სტენ გრისონმა ამაყად განაცხადა: „გლობტროტერსმა განუსაზღვრელი გავლენა მოახდინა თანამედროვე კალათბურთის განვითარებაზე. მანამ, სანამ „ჰარლემი“ არ იყენებდა ვირტუოზულ ტრიუკებსა და სროლებს, კალათბურთის ტექნიკა ღარიბი იყო და ერთფეროვანი“. მართლაც, ბევრი ილეთი, რომლებსაც დღეს წარმატებით იყენებენ პროფესიული ლიგის კალათბურთელები გამოგონ ე ბ უ ლ ი ა „გლობტროტერსის“ მოთამაშეთა მიერ. გრისონის აზრით, კომედიური მომენტები თამაშის პროცესში თავდაპირველად იმისთვის იყო შემოტანილი, რომ გაერთოთ აუდიტორია და სპორტსმენებისთვის დასვენების საშუალება მიეცათ. მერე კი, როცა უკვე კომედიური სპექტაკლი თვითმიზანი გახდა, „ჰარლემის“ თამაშმა სანახაობრივი ეფექტი დაკარგა. მაყურებელი ვერაფრით ვერ შეურიგდა ბრძოლის სიმძაფრის დაქვეითებას. ეს იყო, პრეზიდენტის აზრით, საბედისწერო შეცდომა „ჰარლემის“ ისტორიაში.

რამდენიმე წლის წინ, როცა პროფესიულ კალათბურთში თამაშობდნენ ბობ კოუსი და უილტონ ჩემბერლენი, ბილ რასელი და ოსკარ რობერტსონი, ძველი „ჰარლემი“ მართლაც ანაქრონიზმს უფრო წააგავდა, ვიდრე თანამედროვე კალათბურთის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ იმავე ჩემბერლენებისა და რასელების ვირტუოზული ტექნიკა „ჰარლემის“ ბაზაზე არ აღმოცენებულა.

ერთხელ, „გლობტროტერსის“ თავდამსხმელმა ჯეკსონმა მაყურებელი გააცინა იმით, რომ ბურთი ცალ ხელში დააკავა. იმ დროს კალათბურთის ბურთი გაცილებით უფრო დიდი მოცულობისა იყო და ჯეკსონმა მსოფლიოში პირველმა შეასრულა ეს ტექნიკური ილეთი. პრისლი ისე ძლიერ „ჭრიდა“ ბურთს, რომ იატაკთან შეხების შემდეგ ისევ მას უბრუნდებოდა. „ჰარლემის“ მოთამაშეებმა პირველად განახორციელეს სროლა ცალი ხელით. ისინი თავისუფლად აგდებდნენ ბურთს კალათში ორი ხელით, ხოლო საჯარიმო სროლის შესრულებისას ბურთს ჯერ იატაკს ურტყამდნენ.

ერთი სიტყვით, მაშინდელი „ჰარლემი“ ჯადოქარ კალათბურთელთა გუნდი იყო, რომელსაც სტენ გრისონის აზრით, „აღტაცებაში მოჰყავდა რომის პაპები და პატიმრები, პრეზიდენტები, პრემიერები, ჰერცოგები და უბრალო მოკვდავნი“...

1940 წელს „ჰარლემს“ პროფესიონალთა ტურნირში თამაშის ნება დართეს. კალათბურთის ჯადოქრებმა ადვილად მოიგეს ყველა შეხვედრა, ფინალში კი იმდროინდელი უძლეველი კლუბი „ნიუ-იორკ რეინჯერსი“ გაანადგურეს და პირველად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

აქ, გრისონის აზრით, კიდევ ერთი საბედისწერო შეცდომა იქნა დაშვებული. „ჰარლემს“ უნდა შეენარჩუნებია პროფესიონალთა ჩემპიონატებში თამაშის უფლება. მან კი ჩათვალა, რომ აღარ ჰყავდა ღირსეული კონკურენტი მოკვდავთა შორის და კალათბურთი თეატრალური სანახაობით შეცვალა, რომელიც პირველ ხანებში მოსწონდა ხალხს, მაგრამ სულ მალე მობეზრდა.

პრეზიდენტი ყველაფერს სწორად ხედავს და განმარტავს. მან ზუსტად მიაგნო „ჰარლემის“ აღორძინებისა და დაცემის მიზეზებს. მაგრამ როგორც გუნდის მთავარ მეპატრონეს, არ სურს აღიაროს, რომ ამ საბედისწერო დაცემაში მთავარი როლი სწორედ მას ეკუთვნის. მანამ, სანამ „ჰარლემს“ ზღაპრული შემოსავალი მოჰქონდა, გრისონი არ ფიქრობდა გუნდის მომავალზე. მერე კი, როცა ოქროს ციებ-ცხელება შეწყდა, გამოირკვა, რომ „ჰარლემი“ კატასტროფულად დაშორდა კალათბურთს. მას უკვე აღარ შესწევდა ძალა პროფესიული ლიგის საშუალო გუნდს გამკლავებოდა, იმდენად ჰქონდა გამჯდარი „თეატრალური ჭია“.

აი სწორედ ამ პერიოდში „ჰარლემმა“ და მისმა პრეზიდენტმა, წყალწაღებულთა მსგავსად ხავსი შენიშნეს და მას ჩაეჭიდნენ. გრისონმა ზღაპრული თანხა შეაძლია პროფესიული კალათბურთის მთავარ ვარსკვლავს უილტონ ჩემბერლენს და გუნდში გადმოიბირა. ეს ის დრო იყო, როცა ლიგის ყოველი კალენდარული მატჩის შემდეგ ექიმები ჩემბერლენს 3-4 ნაკერს ადებდნენ და ეს უკანასკნელი მეტ დროს ჭრილობების მოშუშებას ანდომებდა, ვიდრე თამაშს. ჩემბერლენისთვის „ჰარლემი“ მართლაც, კურორტი იყო, მაგრამ ამ კურორტზე მან მხოლოდ ერთი სეზონი გასძლო. „მირჩევნია, — თქვა მან ერთხელ, — ვიყო გლადიატორი ნამდვილ ბრძოლაში, ვიდრე ტაკიმასხარაობით ვაცინო მაყურებელი“.

ასეთი მკაცრი განაჩენი „ჰარლემისთვის“ არავის გამოუტანია.

ახლა პროფესიული კალათბურთის ჯერი დადგა. ჩემბერლენებმა და რასელებმა კარგა ხანია თავი დაანებეს სპორტს. მათი ღირსეული შემცვლელები კი არ სჩანან, არა და ხალხს კარგად ახსოვს თავისი კერპების თამაში. მომავალმა თაობამ შესაძლოა აუბას კიდეც მხარი დღევანდელ კალათბურთს, მაგრამ სანამ მაყურებლებს თვალწინ უდგათ კოუსისა და ჩემბერლენის სახე, ძნელი დასაჯერებელია, რაიმემ განაცვიფროს ისინი.



ნიჭიერი მოწაფეები

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 21 აგვისტო.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ელვა“ (თბილისი) 14:3 (9:0).

„ლოკომოტივი“: ცხვედიანი (სუთიაშვილი), ცისკარიშვილი, ხარშილაძე, ჯვარიძე, ლიბრაძე, პეტუხოვი, დოლიძე, ბენდიაშვილი, კილასონია, ანთაძე, სალთხუციშვილი, ჟღენტი, ტარიელაშვილი, ლიპარტელიანი, გიორგაძე.

„ელვა“: რეხვიაშვილი, სანებლიძე, ქელბაქიანი, ურუშაძე, ვაზაგაშვილი, კემულარია (მამულაშვილი), რამიშვილი, ჩოგოვაძე, ბერაძე, ბახტაძე, მენაბდე, ცინცაძე, ანდღულაძე, შაცდია, აბაშიძე.

მსაჯი გ. ფორმინი (მოსკოვი).

თითქმის ერთთვიანი შესვენების შემდეგ კვირას განახლდა საკავშირო ჩემპიონატი. ეს იყო მეორე წრის მეორე კალენდარული მატჩი. იმ დღევანდელი მეტოქეებისთვის არდადეგებს უქმად არ ჩაუვლია — ორივემ საკავშირო თასის მეოთხედფინალში გასვლა მოასწრო (აქ მოწინააღმდეგენი იქნებიან: „ლოკომოტივისა“ — მოსკოვის „ფილი“. „ელვასი“ — კიევის „პოლიტეხნიკი“) და, რაც მთავარია, ბევრი რამ ისწავლეს თბილისში გამართულ გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზის IV საერთაშორისო გათამაშების მონაწილე უძლიერესი გუნდებისგან.

ეს განსაკუთრებით რკინიგზელთა მოქმედებაში იგრძნობოდა. მათი მოთამაშე-მწვრთნელი თ. ბენდიაშვილი, რომელიც საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდა, უდავოდ ნიჭიერი მოწაფე გამოდგა. მართალია, თემური საერთაშორისო ტურნირში მინდორზე მხოლოდ ერთხელ გამოვიდა, მაგრამ ეტყობა ზოგი რამ სათადარიგოთა სკამიდანაც შენიშნა და აღსაზრდელებსაც ასწავლა.

„ლოკომოტივი“, „ელვასთან“ შეხვედრაში კარგად იყენებდა დიდბრიტანელთაგან გადაღებულ ზოგიერთ ტაქტიკურ ვარიანტს, კერძოდ, იერიშის დროს მურ{ფის} დროულ მიწოდებასა და „მოლიდან“ მის შეუმჩნევლად ის{ე} გამოტანას, როცა მოწინააღმდეგეს ბურთი ისევ შეჯგუფებაში ჰგონია.

ამასწინანდელი საერთაშორისო ტურნირიდან „ელვასაც“ მიუღია გამოცდილება. მაგრამ რკინიგზელებმა ამ დღეს მეტოქე აშკარად დაჯაბნეს. მათი შეტევები უფრო მიზანსწრაფული იყო და დაცვაც უკეთ ორგანიზებული.

მეტოქენი ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. მატჩის დროს სტადიონზე ქარი ქროდა. ბევრს ეგონა, რომ შესვენებამდე რკინიგზელთა დაწინაურებაში (7:0) ქარმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, მაგრამ მეორე ტაიმში, როცა ამჯერად ქარი „ელვას“ ეხმარებოდა, რკინიგზელებმა კიდევ 7 ქულის მოპოვება შეძლეს, „ელვამ“ მშრალ ანგარიშს თავი დააღწია 72-ე წუთზე თ. ცინცაძის მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი.

რკინიგზელებმა ანგარიში მე-10 წუთზე გახსნეს. მათ მარცხენა ფლანგზე წამოიწყეს შეტევა. შემდეგ მარაოთი მისი მიმართულება ერთბაშად შეცვალეს, მ. ჟღენტმა ცრუ მოძრაობით სამი მეტოქე მოატყუა და „ელვას“ „ქალაქი“ აიღო. შუა ტაიმში ა. გიორგაძემ საჯარიმო გამოიყენა. გიორგაძემ შესვენებამდე ზედიზედ ორი საჯარიმო გააფუჭა. რკინიგზელთა კაპიტანი გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო რეგბისტია. ამაში ეჭვი არავის გვეპარება, მაგრამ საჭიროა რეალიზაციისა და საჯარიმოების უკეთ შესრულებისთვის მეტი ივარჯიშოს, ვინაიდან რეგბიში ყოველ ქულას ძალიან დიდი, ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მეორე ტაიმში დ. კილასონიამ (საჯარიმოთი) და ი. დოლიძემ („ქალაქის“ აღებით) უზრუნველყვეს „ლოკომოტივის“ გამარჯვება.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ თ. სალთხუციშვილი, რომელმაც კარგად ითამაშა ამ დღეს, ხოლო 65-ე წუთზე საკუთარი ჩათვლის მოედანი აშკარა გოლისგან იხსნა.

ო. გელაშვილი.

რეგბი

მარცხით დაიწყეს

დაიწყო პირველი ლიგის გუნდების ფინალური ტურნირი, მან უნდა გამოავლინოს ის ორი კოლექტივი, რომლებიც გაისად საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ. როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრებაში ზონებში გამარჯვებული 2-2 გუნდი მონაწილეობს.

კვირას ქუთაისის „სახლმშენი“ მასპინძლობდა კიევის „პოლიტეხნიკს“. „პოლიტეხნიკი“ შარშან უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა და ახლა იქ დაბრუნებისთვის თავგამოდებით იბრძვის. კიეველებმა ამ შეხვედრაშიც ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს 8:0.

მასპინძლებმა ხუთი საჯარიმოდან ერთიც ვერ გამოიყენეს.

ზ. ნიქარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ელვას“ მეოთხედფინალშია

ამას წინათ რიგაში გაიმართა სსრ კავშირის თასის მეორე გათამაშების მერვედფინალური მატჩი რეგბიში. ადგილობრივი რადიოქარხნის გუნდი ვეფ-ი მასპინძლობდა თბილისის „ელვას“.

სტუმრებმა უპირატესობას პირველივე ტაიმში მიაღწიეს — 9:0. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 18:6.

ამრიგად, საკავშირო თასის მეოთხედფინალში გავიდა საქართველოს სამივე გუნდი — თბილისის „ლოკომოტივი“ და „ელვა“ და ქუთაისის „სახლმშენი“.

ჭადრაკი

დრო არ ეყოთ

დნეპროპეტროვსკი, 19 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარე ქალთა 37-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიმართა კიდევ 4 ტური და გადადებული პარტიების დამთავრება.

IV ტურში მ. ლიტინსკაიამ (ლვოვი) წააგო ე. ბელოვასთან (ლენინგრადი), ლ. საუნინამ (სვერდლოვსკი) — ვ. დუდკოვასთან (ხარკოვი). ც. კახაბრიშვილმა (თბილისი) ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ა. აკოფიანთან (ლენინაკანი), ნ. დრელმა (კიშინიოვი) — ლ. ფილიპოვასთან (ლენინგრადი). ო. კოლოიარცევა (პენზა) — ქ. მელაშვილის (თბილისი) პარტია გადაიდო თანაბარ პოზიციაში. გადაიდო აგრეთვე ა. კისლოვა (ლენინგრადის ოლქი) — ვ. კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი), ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) — მ. მაკარიჩევას (მოსკოვი), მ. კარტანაიტე (ვილნიუსი) — კ. ზვორიკინას (მინსკი) პარტიები.

V ტურში კოზლოვსკაია დამარცხდა ლიტინსკაიასთან. მელაშვილმა კარგ პოზიციაში ფიგურა „დაუსვა“ და წააგო დრელთან. კახაბრიშვილმა ეტლების თანაბარ ენდშპილში გადადო პარტია საუნინასთან. მაკარიჩევამ მეფეზე პირდაპირი იერიშით მოუგო ზვორიკინას. ფილიპოვამ დაამარცხა ტურნირის ლიდერი მულენკო, კოლოიარცევამ — ბელოვა. გადაიდო კარტანაიტე — დუდკოვასა და აკოფიან — კისლოვას პარტიები.

VI ტური ნამდვილად უნიკალური იყო: სამ შეხვედრაში პარტიის ბედი დროის გადაცილებამ გადაწყვიტა. პირველად ასეთი რამ კახაბრიშვილს მოუვიდა კისლოვასთან შეხვედრაში. თბილისელმა მოჭადრაკემ გადამწყვეტ მომენტში ვერ მოძებნა სწორი გაგრძელება, ვერ მოასწრო მე-40 სვლის გაკეთება და წაგება ჩაეთვალა. ასეთივე ბედი ეწია კოზლოვსკაიას კოლოიარცევასთან პარტიაში. ფილიპოვას უპირატესობა ჰქონდა ზვორიკინასთან შეხვედრაში, მაგრამ მანაც ვერ მოასწრო მე-40 სვლის გაკეთება. მელაშვილმა ძალიან კარგად ჩაატარა მთელი პარტია მულენკოსთან, ზედმეტი მშვიდობისმოყვარეობა რომ არა, მოიგებდა კიდეც, მაგრამ ყაიმის მეტს ვერაფერს მიაღწია. დრელმა დაამარცხა ბელოვა, საუნინამ — კარტანაიტე. ლიტინსკაიამ უკვე მე-12 სვლაზე აიძულა აკოფიანი დანებებულიყო. გადაიდო დუდკოვა — მაკარიჩევას პარტია.

გადადებული პარტიების დამთავრებისას კოლოიარცევა—მელაშვილისა და საუნინა — კახაბრიშვილის პარტიები ყაიმით დასრულდა. ასეთივე შედეგით დამთავრდა კისლოვა — კოზლოვსკაიას, კარტანაიტე — დუდკოვას შეხვედრები. მულენკომ მოუგო მაკარიჩევას, ზვორიკინამ — კარტანაიტეს, მაკარიჩევამ — დუდკოვას. ავადმყოფობის გამო შეჯიბრებას გამოეთიშა აკოფიანი.

VII ტურში კახაბრიშვილმა თანაბარ პოზიციაში, კარტანაიტეს საშუალება მისცა ეტლებით შეჭრილიყო მის პოზიციაში, დაკარგა ხარისხი და იძულებული შეიქნა დანებებულიყო. მელაშვილი — ზვორიკინას პარტია თბილისელის დიდი უპირატესობით გადაიდო. მაკარიჩევამ მოუგო საუნინას, ფილიპოვამ — დუდკოვას, ბელოვამ — მულენკოს. გადაიდო კისლოვა — ლიტინსკაიას პარტია, სადაც კისლოვას ზედმეტი პაიკი აქვს. გადაიდო, აგრეთვე, კოზლოვსკაია — დრელის პარტია.

7 ტურის შემდეგ ლიდერობს ლ. მულენკო — 4,5 ქულა. 4 ქულა აქვს ნ. დრელს, 3,5 — ლ. საუნინას, მ. მაკარიჩევას (1), ა. კისლოვას (1), მ. ლიტინსკაიას (1), ო. კოლოიარცევას (2). ც. კახაბრიშვილს — 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ქ. მელაშვილს — 1,5 (1).

ნ. სოროკინი,

ნახევარფინალის მთავარი მსაჯი,
სპორტის ოსტატი.

დაწინაურდა პიარნპუუ

დაუგავპილსი, 21 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ). ქალთა 37-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიმართა ორი ტური (XI, XII) და გადადებული პარტიების დამთავრება.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) — ვ. დონჩენკოს (მოსკოვი) და ლ. სემიონოვა (კიევი) — ნ. ალიოხინას (ვორონეჟი) შეხვედრებში ყაიმი აღინიშნა.

XI ტურში ალიოხინამ მოუგო ო. ლოპატინას (მოგილიოვი), თ. მინოგინამ (მოსკოვი) — ც. კობაიძეს (თბილისი). ყაიმით დასრულდა ი. როზენცვაიგ (ლვოვი) — ლ. პიარნპუუს (ტალინი), ლ. ბელავენეც (მოსკოვი) — მ. არლაუსკაიტეს (ვილნიუსი), თ. ხუგაშვილ (თბილისი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი), ტ. ვორონოვა (მოსკოვი) — სემიონოვას შეხვედრები. გადაიდო ბორისენკო — მ. რანიკუსა (ტალინი) და ა. ოზოლა (რიგა) — დონჩენკოს პარტიები.

XII ტურში ლევიტინამ დაამარცხა ოზოლა, ბორისენკომ — ხუგაშვილი, რანიკუმ — ბელავენეცი, ვორონავამ — ლოპატინა, პიარნპუუმ — არლაუსკაიტე. ყაიმით დამთავრდა სემიონოვა — კობაიძის შეხვედრა. გადაიდო მინოგინა — როზენცვაიგისა და დონჩენკო — ალიოხინას პარტიები.

12 ტურის შემდეგ ლ. პიარნპუუს 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ი. ლევიტინას — 7 (2), ტ. ვორონოვას — 7, ლ. სემიონოვას — 6,5 (2), ნ. ალიოხინას — 6 (2). თ. ხუგაშვილს 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ც. კობაიძეს — 4 (1).

ა. გლაგოძე,

სპორტის ოსტატი.

ორდიას განცხადება

კოტონუ. ნებისმიერი აფრიკული ქვეყნის სპორტული ფედერაცია, რომელიც თავის სპორტსმენებს სამხრეთაფრიკის გუნდებთან რომელიმე შეჯიბრებაში მონაწილეობის ნებას დართავს, ბოიკოტირებული იქნება, — განაცხადა ბენინის გაზეთ „ეჰუზუმე“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ა. ორდიამ.

მან აღნიშნა, რომ აგვისტოს მიწურულს ლაგოსში ჩატარდება აპარტეიდის წინააღმდეგ მსოფლიო კონფერენცია, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებს შეამჭიდროვებს, დასახავს ახალ ერთობლივი მოქმედების ღონისძიებას (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99 66 14, 93 97 60; რედაქტორის მოადგილე — 99 60-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99 81-71, 93 97 66; მასობრივ ფიზკულტურულ მუშაობის — 93 97 55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-59; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93 97 58; ჭადრაკის—93-97-51; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93 97 49; გამომშვები — 93 93 81; ფოტოლაბორატორია — 93 97 68; მემანქანეები — 93-97-57.

77

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 10008